ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01183483310**
თარიღი: **14/12/2018**
პინი: **0595**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურის III-IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

2018 წლის 9 ნოემბრის თქვენი N17-1183131790-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება თბილისში, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.08.001.088) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არსებული განაშენიანება სატრანსპორტო კავშირისთვის შეუსაბამოა. საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქის ძირითადი მიზიდულობის ცენტრებისაკენ მხოლოდ შეზღუდული გამტარუნარიანობის (ქუჩის სიგანის, რელიეფის და გეომეტრიული პარამეტრების ერთობლიობა) მქონე წყნეთის გზატკეცილი - თითო ზოლით თითო მიმართულებით - უზრუნველყოფს. აღნიშნული გზატკეცილი და მისი მიმდებარე ძირითადი კვანძები, განსაკუთრებით საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე მონაკვეთში, ამჟამად უკვე გადატვირთულია ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობით. გარდა ამისა, ტერიტორიაზე არ არის დაგეგმილი ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის (მაღალი მოცულობისა და სიხშირის კარგად შეკავშირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი) მოწყობა, რაც წყნეთის გზატკეცილის გეომეტრიიდან გამომდინარე პერსპექტივაშიც შეზღუდულია.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს გზატკეცილის გაყოლებაზე არსებული საქვეითე ინფრასტრუქტურა; ტროტუარი ხშირ შემთხვევაში წყდება ან დაკავებულია შენობებში შესასვლელი კიბეებით. გასათვალისწინებელია, რომ ტროტუარების მოწყობის შესაძლებლობა შეზღუდულია არსებული განაშენიანებისა და ქუჩის არასაკმარისი სიგანის გამო.

აღსანიშნავია, რომ როდესაც საპროექტო ტერიტორია არ არის და ვერ იქნება უზრუნველყოფილი მდგრადი გადაადგილების საშუალებით, მგზავრობების მოდალურ განაწილებაშ იმატებს კერძო მოხმარების ავტომობილის წილი, რაც იწვევს სატრანსპორტო პრობლემებს როგორც ლოკალურად, ასევე ქალაქის მასშტაბით.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, უბნის მაცხოვრებლების მდგრადი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა შეზღუდულია. განაშენიანება არის მანქანაზე დამოკიდებული და ყოველი ახალი მშენებლობა არის სატრანსპორტო პრობლემების გაღრმავების წინაპირობა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიიჩნევს, აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილი ინტენსივობის განაშენიანების 20%-ით შემცირებას.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი